

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ორგანიზაციული მიმოხილვა

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) არის წევრობაზე დაფუძნებული პროფესიული (არასამთავრობო, არაკომერციული) ორგანიზაცია. შეიქმნა 1998 წლის 5 მაისს, საქართველოს ბუღალტერთა კლუბისა და ბუღალტერთა ასოციაციის გაერთიანების შედეგად. ბაფი არის საქართველოს ბუღალტერთა კლუბის (დაფუძნდა 1996 წელს) სამართალმემკვიდრე.

ბაფის საქმიანობის მიზანია: საინვესტიციო ბიზნესგარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დამკვიდრებით; წევრების მაღალკვალიფიციური დონის მიღწევა და შენაჩუნება, საზოგადოებისათვის ხარისხიანი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით; ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, ფინანსური ანგარიშგების სანდოობისა და ხარისხის უზრუნველყოფით.

ბაფის წევრები არიან ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროს წარმომადგენელი ფიზიკური და იურიდიული პირები. 2018 წლის 1 აპრილის მდგომარეობით, ბაფის წევრია 7468 ფიზიკური პირი და 62 აუდიტორული კომპანია, რომლებსაც საქართველოში აუდიტორული საქმიანობის ბაზრის 90 პროცენტზე მეტი უჭირავთ. საქმიანობისა და წევრობის არეალი მოიცავს საქართველოს რეგიონებსა და რაიონებს.

შვილობილი კომპანიები: შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი და შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა“.

საქმიანობის ძირითადი სპექტრი: პროფესიული სერტიფიცირება და განგრძობითი განათლება; წევრების მომსახურების ხარისხის მონიტორინგი; წევრების საკონსულტაციო მომსახურება; პროფესიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ლობირება; სტანდარტების შემუშავება-თარგმნა, მათი სახელმძღვანელო ლიტერატურის მომზადება; დისციპლინარული მოკვლევა და მონიტორინგი წევრების მიერ პროფესიული ეთიკის დაცვაზე.

ორგანიზაციული სტრუქტურა

საერთო კრება—გამგეობა—აღმასრულებელი დირექცია—ფილიალები-კომიტეტები.

გამგეობა შედგება 12 წევრისაგან. სათავო და რეგიონალური ოფისების საქმიანობის მართვას ემსახურება 39 თანამშრომელი. საქმიანობის მართვა ხორციელდება გამგეობის, აღმასრულებელი დირექტორისა და შესაბამისი კომიტეტების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე

ფილიალები: აჭარა, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქართლი, კახეთი, ფოთი, რუსთავი.

კომიტეტები: განათლების კომიტეტი, სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი, აუდიტის ხარისხის კომიტეტი, საგადასახადო საკითხთა კომიტეტი, საწევრო კომიტეტი, ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი.

აღიარება და რეკუტაცია. ბაფი 1999 წლიდან აღიარებულია აკრედიტებულ პროფესიულ ორგანიზაციად და მონაწილეობს პროფესიის რეგულირებაში, კანონმდებლობის შესაბამისად.

1998 წლიდან თანამშრომლობს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოსთან და აქვს ფასს-ების ქართულ ენაზე თარგმნის ექსკლუზიური უფლება.

2000 წლიდან არის ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) ნამდვილი წევრი.

2003 წლიდან, ბრიტანეთის ნაფიც ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) საერთაშორისო პროგრამის საფუძველზე, ახორციელებს პროფესიულ სერტიფიცირებას.

2006 წლიდან ბაფის პროფესიული სერტიფიცირების პროგრამა აკრედიტებულია ACCA -ის მიერ.

წარმატების წყარო. ბაფის სტაბილურობის, აღიარების, უნარისა და იმიჯის წყაროა მისი წევრების სიმრავლე, პროფესიონალიზმი, კოლეგიალური დამოკიდებულება, პროფესიული ღირსება და ეთიკური ქცევა. ბაფის წარმატებებში მნიშვნელოვანია მისი პარტნიორების წვლილი.

ბაფი აქტიურად თანამშრომლობს ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროსთან დაკავშირებულ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან, აკადემიურ სექტორთან.

საქმიანობის შედეგების რეზიუმე. ბაფის ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით 1997-2017 წლებში:

- მიღებულ იქნა საქართველოს კანონები: „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ“ (1999 წელი) და „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“ (2012 წელი);
- დაფუძნდა პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი (სასწავლო ცენტრი) და ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა“;
- ჩამოყალიბდა სპეციალისტთა გადამზადებისა და განგრძობითი სწავლების სისტემა და დამკვიდრდა პროფესიული სერტიფიცირება;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები აღიარებულ იქნა საქართველოს ეროვნულ სტანდარტებად;
- პერიოდულად ითარგმნებოდა და გამოიცემოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები. მზადდებოდა და გამოიცემოდა მათი პრაქტიკაში გამოყენებისათვის საჭირო ლიტერატურა;
- დაფუძნდა ბუღალტერთა და აუდიტორთა რეგიონალური ფედერაცია „ევრაზია“;
- ჩატარდა 12 საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით;
- მომზადდა და ნორმატიული აქტების სახით გამოიცა მცირე ბიზნესის ბუღალტრული აღრიცხვის გამარტივებული სტანდარტები (2004 წელი) და არაკომერციული იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი (2006 წელი);
- ითარგმნა და გამოიცა: მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (2014 წელი); მომსახურების ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი და მისი გამოყენების სახელმძღვანელოები (2014-16 წელი);
- პერიოდულად გამოიცემოდა საქართველოს საგადასახადო კოდექსის კომენტარები;
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით გადამზადდა 30000-ზე მეტი ბუღალტერი;
- მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობდა 1500-ზე მეტი პირი;
- პროფესიონალი (სერტიფიცირებული) ბუღალტრის სტატუსი მოიპოვა 650 პირმა;
- მიმდინარე ეტაპზე, პროფესიული სერტიფიცირების პროგრამაში მონაწილეობს 8469 პირი.

საანგარიშო პერიოდის (2017 წელი) საქმიანობა

1. წევრთა საერთო კრება

2017 წლის 20 მაისს "გამოფენების ცენტრ ექსპოზიორჯიაში" გაიმართა ბაფის საერთო (22-ე) კრება. კრებას ესწრებოდა 154 დელეგატი. მოწვეული სტუმრის სტატუსით, კრებას ესწრებოდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ბატონი იური დოლიძე.

ბაფის გამგეობის საქმიანობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა გამგეობის თავმჯდომარემ, ბატონმა რევაზ ძაძამიამ.

ბაფის გამგეობის, კომიტეტებისა და აღმასრულებელი სტრუქტურის მიერ გაწეული საქმიანობის შემოწმების შედეგებზე საერთო კრებას ანგარიში წარუდგინა სარევიზიო კომისიამ, რომელმაც ბაფის საქმიანობას დადებითი შეფასება მისცა.

ბაფის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის აუდიტორული შემოწმების შედეგების შესახებ საერთო კრებას აუდიტორის მოსაზრება გააცნო შპს „ინტელექტაუდიტის“ გარიგების პარტნიორმა ივანე გაჩეჩილაძემ.

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით აუდიტორის მოხსენების შემდეგ გამოითქვა მოსაზრება, რომ, გასული წლების პრაქტიკის შესაბამისად, უმჯობესია ფინანსური ანგარიშგება ქვეყნდებოდეს საერთო კრების თარიღამდე, რაც გაზიარებულ იქნა დელეგატების მიერ და აღმასრულებელ დირექციას ეთხოვა მოსაზრების გათვალისწინება მომავალი წლისათვის.

საერთო კრებამ კენჭი უყარა და დადებითად შეაფასა საანგარიშგებო პერიოდში ბაფის გამგეობისა და მთლიანად ბაფის საქმიანობა (მომხრე -152, წინააღმდეგი -1, თავი შეიკავა -1).

სამუშაო გრაფიკის შესაბამისად, საანგარიშო მოხსენებების განხილვისა და ბაფის საქმიანობის შეფასებების დასრულების შემდეგ, კრების დელეგატებმა გამოთქვეს მოსაზრებები ბაფის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტუალურ თემებზე.

ბაფში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, საერთო კრებაზე საპატიო სიგელებით დაჯილდოვდნენ:

სვეტლანა ლებანიძე - ქ. თბილისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის;

ზურაბ ლიპარტია - სამეგრელო -ზემო სვანეთის რეგიონში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის;

მაყვალა მამულაშვილი - კახეთის რეგიონში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის

ეველინა კობონაშვილი- ქვემო ქართლის რეგიონში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებით კადრების გადამზადების სფეროში შეტანილი წვლილისათვის.

2. გამგეობის საქმიანობა

წესდებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად, გამგეობა ამტკიცებს ორწლიან სამოქმედო გეგმას, ყოველწლიურ სამუშაო პროგრამასთან და მისი შესრულების გრაფიკთან ერთად, რომელსაც ათანხმებს ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციასთან. საანგარიშო წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებული იყო 2015 წლის ოქტომბერში. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (2016 წლის ივნისი) შემოღებულმა ახალმა რეგულაციებმა სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა გამოიწვია. კერძოდ, პროფესიის რეგულირების სფერო (აუდიტორთა რეესტრის წარმოება, მომსახურების ხარისხის კონტროლი, პროფესიაზე ზედამხედველობა და სხვ.), რომელიც ბაფის პრეროგატივა იყო, სრულად გადაეცა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს.

რეგულაციის ახალი მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვა საჭიროებს პროფესიული ორგანიზაციების, სახელმწიფო სტრუქტურებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ერთობლივ ძალისხმევას. ამ მიმართულებით, საანგარიშგებო წელს მნიშვნელოვანი იყო ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა.

2017 წელს ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობის ძირითადი ასპექტები იყო: პროფესიული სერტიფიცირების, განგრძობითი განათლების სტანდარტებისა და პროგრამების პროექტები; აუდიტორთა რეესტრის წარმოებისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის წესები; ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების თარგმნა; მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა საერთაშორისო სტანდარტებით ბუღალტერთა გადამზადების (სახელმძღვანელოს მომზადება, ტრენინგები) პროექტი და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ზედამხედველობის სამსახურისა და ბაფის გამგეობის ერთწლიანი თანამშრომლობა მიმდინარეობდა მწვავე დისკუსიებისა და აზრთა შეჯერების ფონზე. ვიმედოვნებთ, რეგულირების სფეროში სამსახურის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყანაში პროფესიის განვითარებას, გაზრდის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის ხარისხსა და სანდოობას.

საანგარიშო პერიოდში თანამშრომლობა გრძელდებოდა მსოფლიო ბანკის „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში აუდიტისა და ანგარიშგების გაუმჯობესების პროგრამის“ (STAREP) ფარგლებში. პროგრამა პარტნიორ ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მხარდაჭერას, საკანონმდებლო მარეგულირებელი ბაზის გაუმჯობესებას და ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობას

ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში აქტიურად იყო ჩართული ჩვენი ორგანიზაცია და მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა კონფერენციებსა და სემინარებში (იხ. ქვემოთ).

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია გამგეობის 7 სხდომა (წესდება ითვალისწინებს მინიმუმ ოთხი სხდომის ჩატარებას წელიწადში) და სხდომებზე მიღებული დადგენილებების ძირითადი ნაწილი შესრულებულია.

გამგეობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ძირითადი პროექტების შესრულება ბაფის კომიტეტების ფუნქციებში შედის და მათ საქმიანობას ქვემოთ მიმოვიხილავთ.

3. კომიტეტების საქმიანობა

3.1. განათლების კომიტეტი

პროფესიული სერტიფიცირება, ბუღალტერთა გადამზადება და უწყვეტი განგრძობითი განათლების ხელშეწყობა ბაფის ძირითადი საქმიანობაა. ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებით, საანგარიშო წელს გამორჩეული იყო ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურთან თანამშრომლობა. კერძოდ, სამსახურის მიერ დადგენილი პროფესიული სერტიფიცირებისა და განგრძობითი განათლების სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა და აღიარების მიზნით სამსახურს წარედგინა: 1. სერტიფიცირებული ბუღალტრის სასერტიფიკაციო პროგრამა; 2. 2017 წლის განგრძობითი განათლების პროგრამა

პროფესიული სერტიფიცირება. 2017 წელს ბაფში **დარეგისტრირდა 696** პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტი, აქედან 634 ქართულენოვან და 62 ინგლისურენოვან პროგრამაში. 2017 წლის 30 დეკემბრის მონაცემებით, სასერტიფიკაციო პროცესში მონაწილეობდა **8469 პრეტენდენტი**. საანგარიშო პერიოდში გამოცდაზე გამოვიდა 1522 და დადებითი შედეგი მიიღო 1316, ხოლო უარყოფითი 206 პრეტენდენტმა. შედეგების მიხედვით: I– ეტაპის სერტიფიკატი მიიღო 281 პრეტენდენტმა; II– დონის სერტიფიკატი მიიღო 37 პრეტენდენტმა; III – დონის სერტიფიკატი მიიღო და პროფესიონალი ბუღალტრის სტატუსი მიენიჭა 17 პრეტენდენტს. 2017 წლის ბოლოსათვის პროფესიული სერტიფიცირების ACCA -ის პროგრამა სრულად დამთავრებული აქვს 193 პირს, აქედან 52-ს ACCA -ის ინგლისურენოვანი, ხოლო 141-ს ქართულენოვანი პროგრამა.

სერტიფიცირების ლიტერატურის განახლება. ბაფი პერიოდულად განახლებს პროფესიული სერტიფიცირების პროგრამის სახელმძღვანელო ლიტერატურას. საანგარიშო წელს დაიწყო პროგრამის სახელმძღვანელო ლიტერატურის განახლების მორიგი ციკლი (2017-2019 წლები), რომლის ფარგლებშიც, საანგარიშო პერიოდში დასრულდა „ქართული ბიზნესსამართალი“ (F-4 წიგნი) და „ფინანსების მართვა“ (F-9 წიგნი) და მათი პრაქტიკული სავარჯიშოების განახლება და გამოცემა. დასრულების სტადიაშია და 2018 წლის პირველ ნახევარში გამოიცემა შემდეგი სახელმძღვანელო და პრაქტიკული ლიტერატურა: საქმიანობის

შედეგების მართვა (F-5 წიგნი); ფინანსური ანგარიშგება (F-7 წიგნი); აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება (F-8 წიგნი); კორპორაციული ანგარიშგება (P-2 წიგნი). მიმდინარეობს პროფესიული სერტიფიცირების სხვა წიგნების განახლების პროცესი, რომელიც 2018 წლის ბოლომდე დასრულდება.

ბუღალტრთა გადამზადება. საანგარიშო პერიოდში ბაფი, ტრადიციულად, ახორციელებდა მთავარი ბუღალტრის სერტიფიცირების პროგრამას. ამ პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 121 პრეტენდენტმა (მ.შ. რეგიონებიდან-28). სერტიფიცირების გამოცდები წარმატებით ჩააბარა 81 პრეტენდენტმა.

განგრძობითი განათლება. ბაფი განგრძობითი განათლების პროგრამას ახორციელებს 2000 წლიდან, თუმცა საანგარიშო წელს, ახალი საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, განგრძობითი განათლების პროგრამა პირველად განხორციელდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ აღიარებული ბაფის განგრძობითი განათლების პროგრამის (SARAS-CPD-001/17) შესაბამისად, სამსახურის ზედამხედველობით. 2017 წლის 10 ოქტომბრიდან 2018 წლის 10 თებერვლამდე პერიოდში, ბაფში ჩატარდა განგრძობითი სწავლების სემინარები. საანგარიშო პერიოდში ბაფის სერტიფიცირებულ წევრთა რეესტრში რეგისტრირებული იყო 585 პირი, მათ შორის: აუდიტორთა რეესტრში 275 სერტიფიცირებული ბუღალტერი, ხოლო პროფესიონალ ბუღალტერთა რეესტრში - 310.

აუდიტორთა რეესტრში რეგისტრირებული 275 სერტიფიცირებული პირიდან: განგრძობითი სწავლების სემინარებს დაესწრო - 228; განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 30-ს; განგრძობითი განათლების მოთხოვნა გადაუვადდა - 4-ს; განგრძობითი განათლების მოთხოვნა ვერ შეასრულა -13-მა;

პროფესიონალ ბუღალტერთა რეესტრში რეგისტრირებული 310 პირიდან: განგრძობითი სწავლების სემინარი გაიარა - 165-მა; განგრძობითი სწავლება ჩაეთვალა - 16-ს; განგრძობითი განათლების მოთხოვნა ვერ შეასრულა -129-მ.

3.2. სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი

წესდებით განსაზღვრული მისიიდან გამომდინარე, საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, ბაფი 20 წელზე მეტია სისტემურად თარგმნის ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს და მათი პრაქტიკაში გამოყენების სახელმძღვანელო ლიტერატურას. სტანდარტების თარგმნის სამუშაოების სპეციფიკა მოითხოვს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს თარგმნილი მასალების ორიგინალთან იდენტურობას, რაც საჭიროებს მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა მაქსიმალურ მობილიზებას. ექსპერტიზის პროცესს ხელმძღვანელობს სტანდარტებისა და პრაქტიკის კომიტეტი.

საანგარიშო წელს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შეკვეთით, ბაფში თარგმნილი და გადამუშავებული სტანდარტების მთლიანი გვერდების (საბოლოო პროდუქტის) მოცულობა, 1800 სიმბოლოზე გადაანგარიშებული, შეადგენს 3,538 გვერდს, მათ შორის:

- აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები 1,786 გვერდი (2017 წლის რედაქციით)- ხელმისაწვდომია <http://saras.gov.ge>; www.gfpaa.ge.
- ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები 1,520 გვერდი (2017 წლის რედაქციით) - ხელმისაწვდომია <http://saras.gov.ge>; www.gfpaa.ge.
- მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები 232 გვერდი (2017 წლის რედაქციით) - ხელმისაწვდომია <http://saras.gov.ge>; www.gfpaa.ge.

კომიტეტის ფუნქციებია აგრეთვე ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებთან დაკავშირებული: ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში სასწავლო პროგრამების შედგენა და ტრენინგების ჩატარება; წერილობით შემოსულ კითხვებზე პასუხების მომზადება.

კომიტეტი ჩართული იყო ბაფის განგრძობითი სწავლების 2017 წლის თემატიკით გათვალისწინებული სემინარების პროგრამის მომზადებისა და ლექციების ჩატარების პროცესში.

3.3. საწევრო კომიტეტი

საწევრო კომიტეტი განიხილავს წევრობის კანდიდატების წარმოდგენილ დოკუმენტებს, იღებს გადაწყვეტილებებს მათ წევრად მიღებაზე, ატარებს ადმინისტრაციულ ღონისძიებებს წევრობის შეჩერებასა და გარიცხვაზე. კურიერებს საწევრო გადასახადების დაფარვის პროცესს.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (2016 წლის ივნისი) მოთხოვნებიდან გამომდინარე, საანგარიშო წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები იყო ბაფის ნამდვილი წევრებისა (ფიზიკური პირები) და კორპორაციული წევრების რეესტრში. პროფესიის ახალი რეგულაციების შესაბამისად, აუდიტორული საქმიანობის მიზნებისათვის, ბაფის სერტიფიცირებული პროფესიონალი ბუღალტრებისა და 2012 წლამდე პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული პირების სტატუსი გათანაბრდა. აუდიტორთა რეესტრში რეგისტრაციისათვის სერტიფიცირებულ პირებს მოეთხოვებათ პროფესიული ორგანიზაციის წევრობა. 2017 წელს ბაფის ნამდვილ წევრებს შეუერთდა აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული 186 პირი.

ახალი რეგულაციებით განსხვავებულ მიდგომაა დადგენილი აუდიტორ კომპანიებთან (იურიდიულ პირებთან) მიმართებაში. მათთვის პროფესიული ორგანიზაციების წევრობა

სავალდებულო არაა. საანგარიშო წლის დასაწყისში ბაფის რეესტრში რეგისტრირებული 98 კორპორაციული წევრიდან 35 კომპანია (ურთიერთშეთანხმების საფუძველზე) ამოღებულ იქნა რეესტრიდან.

წევრების სტატისტიკა 2017 წელს:

ფიზიკური პირები. გაირიცხა - 462 წევრი, მათ შორის 444 ასოცირებული და 18 ნამდვილი წევრი. მიღებულ იქნა - 827 ასოცირებული წევრი. ნამდვილი წევრი გახდა 186 სერტიფიცირებული პირი და 25 პროფესიონალი ბუღალტერი.

2017 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით ბაფის წევრი იყო:

7141 ფიზიკური პირი, აქედან ნამდვილი წევრი- 607 (275 - აუდიტორი, 292- სერტიფიცირებული პირი, 40 - პროფესიონალი ბუღალტერი), ასოცირებული - 6534;

კორპორაციული წევრების სტატისტიკა:

წლის დასაწყისში ბაფის რეესტრში რეგისტრირებული იყო 98 კომპანია. კორპორაციული წევრების რეესტრიდან ამოღებულ იქნა 35 კომპანია. გაწევრიანდა 2 კომპანია. 2017 წლის 30 დეკემბრისათვის ბაფის კორპორაციული წევრი იყო 61 აუდიტორი კომპანია.

3.4. აუდიტის ხარისხის კომიტეტი

2016 წლამდე პერიოდში ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით, ბაფი იყო აუდიტორული საქმიანობის რეგულატორი და, შესაბამისად, კომიტეტის ფუნქციები მნიშვნელოვნად მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლო იყო. სხვა ფუნქციებთან ერთად, კომიტეტი აწარმოებდა აუდიტორთა რეესტრს და ახდენდა აუდიტორული კომპანიების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგს. ვინაიდან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (2016 წლის ივნისი) თანახმად, აუდიტორული საქმიანობის რეგულირება და ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების ფუნქცია სრულად გადავიდა სახელმწიფო საზედამხედველო ორგანოს ფუნქციებში, საანგარიშგებო წელს კომიტეტის ფუნქციები შემოიფარგლებოდა წევრ კომპანიებში ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგით (დიაგნოსტიკური ანგარიში) და კორპორაციული წევრებისათვის ხარისხის კონტროლის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებულ საკითხებში (კონსულტაციები, სემინარები, აუდიტის პროგრამის შერჩევა, აუდიტის მეთოდოლოგია და სხვ.) მხარდაჭერით.

კომიტეტის საქმიანობის ფარგლებში 2017 წელს: განახლდა კომიტეტის დებულება; შემუშავდა და დამტკიცდა ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგის - „ხარისხის კონტროლის დიაგნოსტიკური ანგარიშის მომზადების წესი“; ხარისხის კონტროლის სისტემის წინასწარი მონიტორინგი ჩაუტარდა და „დიაგნოსტიკური ანგარიში“ გაიცა 1 კორპორაციულ წევრზე; ჩატარდა პრაქტიკული სემინარი ხარისხის კონტროლის

სისტემის მეთოდოლოგაზე; გაიმართა შეხვედრა (მრგვალი მაგიდა) თემაზე: „მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგისათვის მოსამზადებელი სამუშაოები“; ჩატარდა ერთდღიანი სემინარი აუდიტის პროგრამა „E-dok“- ის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით. სემინარში მონაწილეობდნენ აუდიტური კომპანიები, რომლებიც იყენებენ „E-dok“-ს პროგრამას ან აპირებენ მის გამოყენებას. სემინარს უძღვებოდა ბაფის საპატიო წევრი, ესტონელი სპეციალისტი სერგეი ციცაკოვი.

3.5. საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტი

საგადასახადო დაბეგვრის კომიტეტის ფუნქციაა: ბაფის ყოველწლიური განგრძობითი სწავლებისა და სხვა სახის სემინარებში გადასახადებთან დაკავშირებული პროგრამის მომზადება; წევრების საკონსულტაციო მომსახურება საგადასახადო დაბეგვრის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საკითხებზე; ბაფში წერილობით შემოსულ კითხვებზე კონსულტანტის მიერ მომზადებული პასუხების პროექტის განხილვა და საბოლოო პასუხის მომზადება მისი ჟურნალში გამოქვეყნებამდე (ან კითხვის ავტორთან გაგზავნამდე); საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში მონაწილეობა სამთავრობო და საკანონმდებლო სტრუქტურებთან, ბაფის სახელით. კომიტეტი, როგორც გასულ წლებში, საანგარიშო პერიოდშიც წარმატებით ასრულებდა თავის ფუნქციებს.

3.6. ეთიკისა და დისციპლინარული კომიტეტი

კომიტეტი, ასეთი სახელწოდებით, შეიქმნა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონისა (08. 06.2016) და ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ შემუშავებული შესაბამისი რეგულაციების საფუძველზე.

კომიტეტის სახელმძღვანელო დებულებაა „ბაფის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესი“.

მიღებული წესით განსაზღვრულია, რომ: კომიტეტი შეისწავლის პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამოვლენილ ფაქტებს; გამოვლენილ დარღვევებზე ახორციელებს დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საანგარიშო წელს პროფესიონალი ბუღალტრების მიერ ეთიკის კოდექსისა და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნების მნიშვნელოვანი (არსებითი) დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა.

4. აღმასრულებელი სტრუქტურა

ბაფის მართვას ახორციელებს აღმასრულებელი სტრუქტურა, რომლის საქმიანობა რეგულირებულია ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა ნორმატიული დოკუმენტებით, კერძოდ, გაწერილი და დამტკიცებულია: „მენეჯერული პროცედურები“; თანამშრომლებთან ურთიერთობების „შრომის შინაგანაწესი“; თანამშრომელთა საქმიანობა რეგულირდება აღმასრულებელი დირექტორის მიერ დამტკიცებული „თანამშრომელთა ფუნქციების შესახებ“ ბრძანებით. დოკუმენტში გაწერილია დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები, ჩამოყალიბებულია ორგანიზაციის ადმინისტრაციის წევრების ვალდებულებები და პასუხისმგებლობა. თანამშრომელთა ფუნქციების სათანადოდ შესრულება კონტროლდება ოფისის მენეჯერისა და აღმასრულებელი დირექტორის მიერ.

5. ფინანსური მდგომარეობა

საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა, მუხლობრივად და თანხობრივ პარამეტრებში, მოცემულია გამგეობის მიერ დამტკიცებული 2017 წლის ბიუჯეტში, რომელიც გამოქვეყნებულია და მისი გაცნობა შესაძლებელია ვებგვერდზე: **baf.ge** – „საქმიანობის ანგარიშები“.

2017 წლის ფინანსური ანგარიშგება, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად, გამოქვეყნდება 2018 წლის 10 მაისამდე ვებგვერდზე: **baf.ge** – „საქმიანობის ანგარიშები“, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ბოლო ხუთი წლის ფინანსური ანგარიშგებების გაცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილ საქმიანობის ანგარიშში, ეკონომიკურ და ფინანსურ საქმიანობას დეტალურად არ მიმოვიხილავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ საანგარიშგებო წელი ბაფმა ფინანსური მოგებით დაასრულა. ფინანსური შედეგზე, სხვა ფაქტორებთან ერთად, დადებითი გავლენა იქონია ფინანსთა სამინისტროს დაკვეთით თარგმნილი სტანდარტების ხარჯების დაფინანსებამ, რაც სტანდარტების თარგმნის ისტორიაში პირველად განხორციელდა.

გასული წლების ფინანსური ანგარიშგების ანალიზის მიხედვით, ბაფს დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობა აქვს. ბაფის ფინანსური მდგრადობის გარანტია წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონეა.

6. საერთაშორისო აქტივობები (კონფერენციები, სემინარები)

2017 წლის 26-27 აპრილი, ACCA-ის მიერ ორგანიზებული სწავლის წარმართველთა გლობალური კონფერენცია 2017, ლონდონი. მონაწილეობა მიიღეს: ნინო ლალიძემ, ელენორა თევზაძემ

2017 წლის 30-31 მაისს ვენაში STAREPP-ის (აუდიტისა და ანგარიშგების გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში) პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრის (CFRR) მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარე, **რევაზ მაძამია** და განათლების კოორდინატორი, **მარინა რევაზიშვილი**.

2017 წლის 6-7 ივნისს პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა მე-2 კონგრესი, რომელიც ეძღვნებოდა პოლონეთის ბუღალტერთა ასოციაციის 110 წლისთავს.

საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პოლონეთის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლები, ასევე სტუმრები მსოფლიო ბანკიდან, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციიდან (IFAC), ასევე წარმომადგენლები გერმანიის, ესტონეთის, ლიტვის, ესტონეთის, უკრაინის, სერბიის, რუმინეთის და საქართველოს პროფესიული ორგანიზაციებიდან.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას კონგრესზე წარმოადგენდა ბაფის გამგეობის წევრი ნოდარ ებანოიძე.

კონგრესის მიმდინარეობის პერიოდში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 8 ქვეყნის (საქართველო, უკრაინა, რუმინეთი, ლატვია, ლიტვა ესტონეთი, სერბია და პოლონეთი) პროფესიული ორგანიზაციის მიერ ხელი მოეწერა მემორანდუმს, **ურთიერთთანამშრომლობის შესახებ**.

2017 წლის 21-22 ივნისს თბილისში, სასტუმრო „ბილტმორში“ ჩატარდა სემინარი, რომელიც ორგანიზებული იყო ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრის (CFRR) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (SARAS) მიერ. მონაწილეობა მიიღეს: რევაზ მაძამიამ (ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრის (CFRR)/ STAREP-ის მონაწილე); მარინა რევაზიშვილმა (ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრის (CFRR)/ STAREP-ის მონაწილე).

2017 წლის 22-23 სექტემბერს აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო - პრაქტიკული კონფერენცია თემაზე - "აზერბაიჯანის ეკონომიკის სტრატეგიული საგზაო რუკა".

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო ბაფის გამგეობის წევრმა - ნოდარ ებანოიძემ, რომელმაც წარადგინა მოხსენება თემაზე - "აუდიტის დაგეგმვისას რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის მოდელის პრინციპების გამოყენება".

2017 წლის 16 ნოემბერს ჩატარდა ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის, მსოფლიო ბანკის ფინანსური ანგარიშგების რეფორმის ცენტრისა (CFRR) და ფასს ფონდის (IFRS Foundation) ერთობლივი სემინარი - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განათლების საკითხები“, რომელშიც მონაწილეობდნენ რევაზ ძაძამია, ლავრენტი ჭუმბურიძე, მარინა რევაზიშვილი.

2017 წლის 27 ნოემბერი ვირტუალური სემინარი, ორგანიზებული ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრის (CFRR) მიერ თემაზე „კომპეტენციაზე დაფუძნებული ბუღალტრული აღრიცხვის განათლების, სწავლებისა და სერტიფიცირების სახელმძღვანელოს შესამუშავებლად“.

2017 წლის 11-13 დეკემბერი სემინარი, ორგანიზებული ფინანსური ანგარიშგების რეფორმის მსოფლიო ბანკის ცენტრის (CFRR) მიერ, ვენა ავსტრია, თემაზე: „საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა“. მონაწილეობა მიიღო გამგეობის წევრმა მიხეილ აბაიაძემ.

ლავრენტი ჭუმბურიძე,

ბაფის აღმასრულებელი დირექტორი